

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში

ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა.“

2. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ ასეთი ბრძანებებით, შიდა ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით.“

3. მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი გადასახადის შემოღების, გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საქართველოს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს.“

4. მე-12 მუხლის 1¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹ საგადასახადო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შემოსავლების სამსახური (ცენტრალური აპარატი), მისი ტერიტორიული ორგანო (რეგიონული ცენტრი) და საქართველოს ფინანსთა

მინისტრის მიერ შექმნილი სსიპ საქართველოს შემოსავლების სამსახურის სხვა სრუქტურული ერთეული.“

5. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. საქართველოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „საქართველოს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს კოდექსი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.“

6. 49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 49. საქართველოს საგადასახადო ორგანოები

1. საქართველოს საგადასახადო ორგანოების ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შემოსავლების სამსახური, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული ორგანოების (რეგიონული ცენტრების) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შექმნილი სსიპ საქართველოს შემოსავლების სამსახურის სხვა სრუქტურული ერთეულებისაგან (ასეთი ერთეულების შექმნის შემთხვევაში).

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შემოსავლების სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. საქართველოში საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან, უზრუნველყონ სახელმწიფო კონტროლი გადასახადების სრულად და დროულად გადახდაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სხვა ორგანოებს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის პირველი აპრილიდან.